

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო
ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის**

**ბრძანება N09
24 ივნისი 2020 წ.**

ქ. ბათუმი

**„არაკონვენციური მცურავი საშუალებების უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების“ დამტკიცების
შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-25 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის №1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „არაკონვენციური მცურავი საშუალებების უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნები“ შემდეგი ფორმით:

- ა. რადიოაღჭურვილობის მინიმალური მოთხოვნები არაკონვენციური გემებისათვის - დანართი N1;
- ბ. სამაშველო აღჭურვილობების მინიმალური მოთხოვნები არაკონვენციური გემებისათვის - დანართი N2;
- გ. ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მოთხოვნები არაკონვენციური გემებისათვის - დანართი N3;
- დ. სასწავლო წვრთნების მინიმალური მოთხოვნები არაკონვენციური გემებისათვის - დანართი N 4;
- ე. საზღვაო პუბლიკაციების და ჟურნალების მინიმალური მოთხოვნები შიდა ნაოსნობაში ჩართული გემებისათვის - დანართი N 5.

მუხლი 2

1. „სამაშველო ტივის - არქონის შემთხვევაში ცურვის რაიონი შეიზღუდოს 6 საზღვაო მილამდე - არაკონვენციური გემებზე სამაშველო აღჭურვილობების მინიმალური მოთხოვნები - ამოქმედდეს ყველა გემის მიმართ გარდა ტენდერების, სწრაფმავალი კატარღების, სასაფრინო კატარღების, იახტებისა.
2. წინამდებარე ბრძანებით მოთხოვნილი სამაშველო აღჭურვილობები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) სამაშველო მოწყობილობების საერთაშორისო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
3. წინამდებარე ბრძანებით მოთხოვნილი ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების საერთაშორისო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. შიდა ნაოსნობაში ჩართულ ყველა ტიპის გემებზე უნდა იყოს დადგენილი გემის ოფიციალური საკომუნიკაციო და სამუშაო ენა (დროშის ოფიციალური ენა ან ინგლისური ენა), რომლის ჩანაწერი უნდა იყოს აღნიშნული გემის ჟურნალში.

5. სასაერთო დანიშნულების სამგზავრო გემზე სამაშველო ტივების შემოწმების ჩატარება განხორციელდეს 2 (ორი) წელიწადში ერთხელ.

6. შიდა ნაოსნობაში ჩართულ ყველა ტიპის გემებზე არსებული ყველა ტიპის ჟურნალის, ინსტრუქციების, პოსტერების, სავარჯიშოების, საქმისწარმოება უნდა განხორციელდეს გემზე დადგენილი სამუშაო ენაზე და შენახვის ვადა განისაზღვროს არანაკლებ სამი წლით.

7. წინამდებარე ბრძანების მე-3 დანართის შესაბამისად მოთხოვნილი ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების ტიპები და განლაგება განისაზღვროს აღიარებული ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად. აღიარებული ორგანიზაციის მოთხოვნები თანხმდება სააგენტოსთან.

8. წინამდებარე ბრძანების მე-4 დანართის შესაბამისად ჩატარებული სასწავლო წვთების ჩანაწერები უნდა ფიქსირდებოდეს გემის ჟურნალში, ასევე გემის კაპიტანმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულება.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 17 მარტის N01 ბრძანება „არაკონვენციური მცურავი საშუალების რადიოაღჭურვილობისა და გემებზე სამაშველო აღჭურვილობის მინიმალური მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ.“

მუხლი 4

1. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ ბრძანების მე-2 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტები, მე-3, მე-4 და მე-5 დანართები ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.
3. ამ ბრძანების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული წესები მოქმედებს ამ ბრძანების ამოქმედებამდე შემოწმებულ სამაშველო ტივებზე.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის
სააგენტოს დირექტორი

თამარ იოსელიანი